შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“

ს/კ 209446900

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

დამტკიცების თარიღი: 30/09/2020

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....5

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 6

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 7

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს "ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი"-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალის და სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშს და კაპიტალის ცვლილების ანგარიშს ამ თარიღისთვის დასრულებული წლისათვის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის („ფინანსური ანგარიშები") შეჯამებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშები მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("მსს ფასს") მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1.მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;

2.გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;

3.განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

1.კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
2.ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
3.სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 30 სექტემბერს.

ფინანსური დირექტორი: /ნანა ნოდია/

მთ.სპეციალისტი: /დალი ნათენაძე/

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერი

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2019
აქტივები	8	
გრძელვადიანი		
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება		3,836
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	12	4,477,316
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,481,151
მოკლევადიანი აქტივები		
გადახდილი ავანსები	11	-
მოკლევადიანი მოთხოვნები	10	246,931
მარაგები	13	341,439
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	301,526
სულ მიმდინარე აქტივები		**889,896**
სულ აქტივები		**5,371,047**
კაპიტალი და ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	15	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები	14	(110,900)
საგადასახადო ვალდებულებები		(28,955)
მოკლევადიანი სესხები		-
გადასახდელი პროცენტები		-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**(139,855)**
სულ ვალდებულებები		**(139,855)**
კაპიტალი		
საემისიო კაპიტალი		-
საწესდებო კაპიტალი		(602,098)
რეზერვები და დაფინანსება		(4,484,401)
გაუნაწილებელი მოგება	16	(144,693)
სულ კაპიტალი		**(5,231,192)**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**(5,371,047)**

ფინანსური დირექტორი: /ნანა ნოდია/

მთ.სპეციალისტი: /დალი ნათენაძე/

მოგება-ზარალი და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნა	(ლარი)
შემოსავალი რეალიზაციიდან		2,935,073
შრომის ანაზღაურება		(1,500,698)
ცვეთა და ამორტიზაცია		(102,561)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(1,259,069)
საოპერაციო მოგება		**72,744**
საპროცენტო შემოსავლები		-
საპროცენტო ხარჯები		-
წმინდა შემოსავალი/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		-
		-
მოგება/ზარალი ფინანსური საქმიანობიდან		**-**
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი		**-**
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	17	15,490
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	18	(10,894)
მოგება/ზარალი გადასახადებამდე		**77,341**
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება/ზარალი		**77,341**

ფინანსური დირექტორი: /ნანა ნოდია/

მთ.სპეციალისტი: /დალი ნათენაძე/

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	რეზერვები და დაფინანსება	სულ
31 დეკემბერი, 2018	602,098	67,352	1,830,660	2,500,110
ზრდა	-	77,341	2,653,742	2,731,083
კლება	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	602,098	144,693	4,484,402	5,231,193

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერი

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31 დეკემბერი 2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	16,290
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	16,290
სავალუტო კურსის ეფექტი	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**285236**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**301526**

ფინანსური დირექტორი: /ნანა ნოდია/

მთ.სპეციალისტი: /დალი ნათენაძე/

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1.კომპანია და მისი ოპერაციები:

შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 1999 წლის 7 სექტემბერს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად. „კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, იპოლიტოვ-ივანოვის ქ., №43 .კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 209446900

„კომპანიის“ დირექტორია ბატონი **ბიძინა მგალობლიშვილი** (პ/ნ:01024011971)

კომპანიის დამფუძლებელი და 100% იანი წილის მფლობელია საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“-ს ძირითადი საქმიანობაა: სპეციალიზებული სამედიცინო პრაქტიკის საქმიანობები - ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი: 86220;

2.ურთიერთდამოკიდებული პირები:

შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრ"-ს ურთიერთდამოკიდებულ პირებთან/კომპანიებთან ოპერაციები არ უფიქსირდება

3.მომზადების საფუძველი:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს „კომპანიის" პირველ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირველადი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ორისი". პროგრამაში უზრუნველყოფილია ოპერაციების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

სააღრიცხო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს–ზე გადასვლის შემდეგ კომპანიის პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშო პრიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქნილა.

4.სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა:

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“,„GEL”), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულბების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულბები. კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება როგორც ფინანსური შემოსავლები და ხარჯები.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანგარიშგებაში გამოყენებულია შემდეგი კურსები: **აშშ დოლარი - 2.8677 , ევრო - 3.2095**

5.საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

6.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად: კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

-აქტივი მოკლევადიანია, როდესაც: მოსალოდნელია მისი გამოყენება ან რეალიზება 1 საანგარიშო წელზე ნაკლებ ვადაში და მისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის

მიღება.

-გრძელვადიანია აქტივი, რომლის გამოყენებაც მოსალოდნელია 1 საანაგრიშო წელზე მეტი ვადით და მისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

-ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

7.შეფასების და წარდგენის ვალუტა:

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარმოსადგენი ვალუტაა.

8.აქტივები:

კომპანიის აქტივების ძირითად ნაწილს წარმოადგენს გრძელვადიენი აქტივები. მიმდინარე აქტივები თავის მხრივ შედგება, ფულის და მათი ეკვივალენტებისგან, მოკლევადიანი მოთხოვნებისგან და სასაქონლო-მატერიალური მარაგებისგან, ასევე გადახდილი ავანსებისგან.

კომპანიის გრძელვადიანი აქტივები შედგება ძირითადი საშუალებებისგან და არამატერიალური აქტივებისგან.

9. ფული და ეკვივალენტები:

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს:

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული სალაროში	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	301,526
სულ	**301,526**

10. მოკლევადიანი მოთხოვნები:

სავაჭრო და სხვა დებიტურული დავალიანება გროვდება როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირადპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

მოკლევადიანი მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019
ანარიცხები საეჭვო მოთხოვნებზე	2,804
მოთხოვნები მიწოდებიდან	244,127
სულ	**246,931**

11. გადახდილი ავანსები:

კომპანიის გადახდილი ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის და მომსახურების შესყიდვის მიზნით, ასევე მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს.

12. ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით.

თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნულიტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას, ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების გასანაწილებლად კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდს.

ძირითადი საშუალებების აღიარება შეწყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულშემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება								
დეკემბერი 31, 2018	**6,856**	**547,774**	**1,836,590**	**49,470**	**29,715**	**8,740**	**4,450**	**2,483,594**
მატება	24,148	2,021,096		2,200	177,459	43,680	-	2,268,583
კლება	12,074		100,650	4,480	7,230	4,370	-	128,804
დეკემბერი 31, 2019	**18,930**	**2,568,870**	**1,735,940**	**47,190**	**199,944**	**48,050**	**4,450**	**4,623,373**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება								
დეკემბერი 31, 2018	**779**	**-**	**415,472**	**28,537**	**10,924**	**4,266**	**320**	**460,298**
მიმდინარე წლის ცვეთა	1,155	-	86,797	2,813	2,318	9,183	294	102,561
ცვეთის ამობრუნება	-	-	415,472	3,032	-	2,133	-	420,637
დეკემბერი 31, 2019	**1,934**	**-**	**86,797**	**28,318**	**13,242**	**11,317**	**614**	**142,222**
ნარჩენი ღირებულება								
დეკემბერი 31, 2018	**6,077**	**547,774**	**1,421,118**	**20,933**	**18,791**	**4,473**	**4,130**	**2,023,296**
დეკემბერი 31, 2019	**16,996**	**2,568,870**	**1,649,143**	**18,872**	**186,702**	**36,733**	**3,836**	**4,481,151**

13. სასაქონლო-მატერიალური მარაგები:

წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს. შეძენის დანახარჯები მოიცავს: შეძენის (ნასყიდობის) ფასს; საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსათვის დასაბრუნებელი გადასახადებისა); სატრანსპორტო, დატვირთვა- გადმოტვირთვის დანახარჯები და სხვა პირდაპირი ხარჯები აღიარდება დამოუკიდებლად როგორც ხარჯი.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2019
მზა პროდუქცია	21,201
სხვა მარაგები	320,238
სულ	**341,439**

14. მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ან აქვს აღებული ვალდებულება შეასრულოს თავის მოვალეობებს საქონლის მოწოდებასან ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, კომპანიას კრედიტორული დავალიანებებს წარმოადგენს მოკლევადიან ვალდებულებებს წარმოშობილი საქონლის მოწოდებასთან ან მომსაურებასთან დაკავშირებით, ასევე გადასახდელი პროცენტები.

მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	4,487
გადასახდელი შრომის ანაზღაურება	105,328
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,085
სულ	**110,900**

15. საგადასახადო ვალდებულებები:

კომპანიას საანგარიშო პერიოდის ბოლოს საგადასახადო ვალდებულებად უფიქსირდება 28 955 ლარი.

16. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი:

კომპანიის დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით შეადგენდა 67 352 ლარს. 2019 საანგარიშო წელს აკუმულირებულმა წლიურმა მოგებამ შეადგინა 77 341 ლარი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენს 144 693 ლარს.

17. შემოსავლის აღიარება:

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია საქონლის/მომსახურების გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს. შემოსავალში გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

არასაოპერაციო შემოსავალი

	31 დეკემბერი 2019
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი/მომსახურება	15,490
სულ	**15,490**

18.ხარჯის აღიარება :

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი 2019
საპენსიო ხარჯი	15,062
კომუნალური გადასახადები	140,229
აუდიტორული მომსახურება	800
დაზღვევა	804
ბანკის მომსახურება	1,342
კომუნიკაცია	9,799
ოფისის ხარჯი	56,755
კვება	436,519
სამეურნეო	71,532
მედიკამენტები	494,497
სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯი	5,160
საწვავი	13,915
ფოსტა	1,434
სამედიცინო ნარჩენების უტილიზაცია	2,550
სხვა	8,671
სულ	**1,259,069**

არასაოპერაციო ხარჯები

	31 დეკემბერი 2019
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	10,894
სულ	**10,894**

15.ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები:

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. (ასეთის არსებობსი შემთხვევაში). 2018 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიაში არ ქონია ადგილი ისეთ მოვლენებს რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას..

ფინანსური დირექტორი: /ნანა ნოდია/

მთ.სპეციალისტი: /დალი ნათენაძე/